

„ჩრდილის“ სიმბოლიკა დევიდ ჰერბერტ ლორენსის პოეზიაში ლელა ებრაღიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი
<https://orcid.org/0000-0003-0802-4085>

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სტატია იკვლევს „ჩრდილის“ („shadow“) სიმბოლურ მნიშვნელობას მთელ რიგ კულტურულ და ლიტერატურულ კონტექსტებში, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ სიმბოლოს ევოლუციას ინგლისურენოვან პოეზიაში და მის ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიურ ინტერპრეტაციებს. კვლევა იწყება ჩრდილის სიმბოლოს ისტორიული განვითარების ანალიზით ინგლისურ პოეზიაში, კერძოდ, შექსპირის, რომანტიკოსი პოეტების (ბლეიკი, შელი, კიტსი, კოლრიჯი, ვორდსვორთი), ვიქტორიანული ეპოქის ავტორების (ტენისონი, ბრაუნინგი, როსეტი) და მოდერნისტების (ელიოტი, იეიტსი, პლათი) შემოქმედებაში.

სტატია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჩრდილის კონცეფციას ფსიქონალიზური თეორიის კონტექსტში, განიხილავს ფროიდისა და იუნგის მიდგომებს არაცნობიერის სიმბოლოდ ჩრდილის ინტერპრეტაციისადმი, ასევე ამ კონცეფციის გამოყენებას თანამედროვე ფსიქოლოგიაში.

ბიბლიური პერსპექტივიდან, კვლევა ასახავს ჩრდილის რელიგიურ სიმბოლიზმს, განსაკუთრებით ცნობილ ფრაზას „სიკვდილის ჩრდილის ველი“ და სხვა ბიბლიურ კონტექსტებს, სადაც ჩრდილი ღვთაებრივი მფარველობის, სულიერი სიბნელის და ადამიანური არსებობის წარმავლობის სიმბოლოა.

სტატიის ძირითადი ნაწილი ეთმობა დ.ჰ. ლორენსის პოეზიაში ჩრდილის სიმბოლიკის მიკროანალიზს. დეტალურად განიხილება ლექსები „Shadows“, „In the Dark“, „A Young Wife“ და „In a Boat“. კვლევა ავლენს, რომ ლორენსისთვის ჩრდილი რთული ონტოლოგიური კონცეფციაა, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ და მეტაფიზიკურ განზომილებებს, ასახავს მის წინააღმდეგობას ინდუსტრიული რაციონალიზმის მიმართ და წარმოადგენს ინტუიტიური, ქვეცნობიერი ძალების განსახიერებას. კვლევის მიხედვით, ლორენსის ჩრდილის კონცეფცია განსხვავდება ტრადიციული ნეგატიური ინტერპრეტაციებისგან - იგი ხშირად წარმოგვიდგება

როგორც სასიცოცხლო, შემოქმედებითი ძალა, ტრანსფორმაციისა და განახლების წყარო.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილის სიმბოლო, ინგლისური პოეზია, დ. ჰ. ლორენსი, იუნგისური ფსიქოლოგია, რომანტიზმი, მოდერნიზმი, ბიბლიური სიმბოლიზმი, არაცნობიერი.

შესავალი

დიდი ბრიტანელი მწერალი დევიდ ჰერბერტ ლორენსი (1885-1930) მოღვაწეობდა მოდერნიზმის ეპოქაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ხელოვნებაში დიდი ცვლილებების პერიოდში, როდესაც მხატვრულ ლიტერატურაში გავრცელება ჰპოვა ახალმა მეთოდმა - ცნობიერების ნაკადმა. ამ მეთოდთან ასოცირდებიან ჯეიმზ ჯოისი, ვირჯინია ვულფი, უილიამ ფოლკნერი, მარსელ პრუსტი და სხვა ცნობილი ავტორები, მათ შორის დ. ჰ. ლორენსიც, რომლის ნაწარმოებებშიც ინდუსტრალიზაციის ეპოქაში ადამიანის სულიერი კრიზისი და გაუცხოება აისახა.

ლორენსი, პირველ რიგში, ცნობილია თავისი გახმაურებული რომანებით, თუმცა მე-20 საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის ორიგინალურ პოეზიას, რომელიც გამოირჩევა სიცოცხლის ძალით, ბუნებასთან სიახლოვით, მოდერნისტული ხედვით და რადიკალური სენსუალობით. მაშინ როდესაც ლორენსის რომანები, მაგალითად, „ლედი ჩატერლის საყვარელი“ და „ცისარტყელა“, ხშირად იპყრობდა საზოგადოების ყურადღებას ტრადიციული მორალისა და ტაბუების უგულვებელყოფით, ადამიანის ბუნების ბნელი მხარეების წარმოჩენით, მის ლექსებში შედარებით შეფარულად არის გამოხატული ავტორის ფილოსოფიური და სულიერი ხედვა, მათში, როგორც ლორენსის მთელ შემოქმედებაში, იგრძნობა ცხოველი ინტერესი სიცოცხლის, სიკვდილის, სიყვარულის, დასავლური ცივილიზაციის ბუნებისგან მოწყვეტის თემებისადმი.

ლორენსის პოეზიისათვის დამახასიათებელია თავისებური ფორმა და სტილი. იგი ხშირად ატარებს ექსპერიმენტებს: არღვევს ტრადიციულ პოეტურ კონვენციებს, წერს ურითმო ლექსებს, იყენებს ყოველდღიურ ენას, შეუნიღბავ სექსუალურ ხატებს, რიტუალური ეფექტისათვის მიმართავს გამეორებებს. მისი პოეტური ხმა პირდაპირი, ძლიერი და ხშირად პროვოკაციულია - ისევე როგორც მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა.

ლორენსის ლექსებში ნათლად ჩანს დაპირისპირება გონებასა და სხეულს, ცივილიზაციასა და ბუნებას, მეცნიერებასა და ინსტინქტს შორის. ამ კონფლიქტების ცენტრში ხშირად დგას „ჩრდილის“ კონცეფცია - სიმბოლო, რომელიც ლორენსის პოეზიაში უაღრესად მრავალმხრივი და მნიშვნელოვანია.

ლორენსისათვის "ჩრდილი" უბრალოდ სინათლის ნაკლებობა, მხოლოდ ფიზიკური ფენომენი კი არ არის, არამედ მეტაფიზიკური რეალობა, ირაციონალური ცნება, რომელიც თანამედროვე სამყაროს მკაცრად განსაზღვრულ კატეგორიებში ვერ თავსდება. ლორენსის პოეზიაში ჩრდილები წარმოადგენს ქვეცნობიერს, ინსტინქტებს, სხეულის სიბრძნეს, სექსუალურობას, სიკვდილსა და ტრანსფორმაციას. იგი არ არის მხოლოდ ნეგატიური ძალა, არამედ ხშირად წარმოგვიდგება როგორც სინათლის აუცილებელი თანმხლები და სიცარიელის შემავსებელი. ლექსების კრებულები, როგორიცაა "Birds, Beasts and Flowers" („ჩიტები, ცხოველები და ყვავილები“) და "Look! We Have Come Through!" („ნახეთ, ჩვენ გადავლახეთ!“) მდიდარია პოეტური ხატებით, სადაც ჩრდილი დადებით მოვლენად გვევლინება - ადგილად, სადაც ადამიანი თავის სულიერ არსს პოულობს, სხვა ცოცხალ არსებებს უკავშირდება და სიღრმისეულ, კოსმიურ ჭეშმარიტებებს აღმოაჩენს. ეს დუალისტური მიდგომა ჩრდილისადმი ასახავს ლორენსის რწმენას ცხოვრების დაპირისპირებული ძალების ბალანსის აუცილებლობაში.

წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ „ჩრდილის“ სიმბოლიკას ლორენსის პოეზიაში, მის მრავალფეროვან ინტერპრეტაციებს და იმას, თუ როგორ უკავშირდება ეს სიმბოლო ლორენსის ფილოსოფიურ და მხატვრულ ჩანაფიქრს - აღადგინოს ადამიანის კავშირი ბუნებასთან, სხეულთან და სიცოცხლის პირველყოფილ ენერგიასთან.

„ჩრდილის“ სიმბოლური დატვირთვა ინგლისურ პოეზიაში, ფილოსოფიასა და რელიგიაში

„ჩრდილი“ ინგლისურ პოეზიაში

ინგლისელი პოეტების შემოქმედებაში „ჩრდილის“ („shadow“) სიმბოლო ბევრად უფრო მრავალფეროვან და კომპლექსურ როლს ასრულებს, ვიდრე უბრალოდ სინათლის ნაკლებობის ფიზიკური ფენომენი. აი, როგორ გამოიყენებოდა ეს სიმბოლო სხვადასხვა პერიოდის ინგლისურენოვან პოეზიაში:

შექსპირის მე-18 სონეტში ("Shall I compare thee to a summer's day?") ჩრდილის სიმბოლურ მნიშვნელობას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

ამ სონეტში ჩრდილი სიკვდილის, დროებითობისა და გარდაუვალი ცვლილების სიმბოლოა. კერძოდ, სონეტის მეორე ნაწილში შექსპირი ახსენებს:

And every fair from fair sometime declines,

By chance, or nature's changing course untrimmed

აქ პოეტი საუბრობს, რომ ყველაფერი მშვენიერი საბოლოოდ ფერმკრთალდება და კვდება - ბუნების კანონზომიერებით თუ შემთხვევით.

თუმცა, შექსპირი სატრფოს პირობას აძლევს, რომ მას სიკვდილის შემდეგ დავიწყება არ ემუქრება მისი უკვდავი ლექსების წყალობით:

Nor shall death brag thou wander'st in his shade,

When in eternal lines to time thou grow'st:

ეს სტრიქონები არის სონეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამ კონტექსტში “shade” („ჩრდილი“) სიკვდილს, გარდაცვალებას და დავიწყებას სიმბოლოდ გვევლინება. ფრაზა “Nor shall death brag thou wander'st in his shade” სიტყვასიტყვით ნიშნავს შემდეგს: „ვერც სიკვდილი დაიტრახახებს იმას, რომ შენ მის ჩრდილში იხეტიალებ“. აქ სიტყვა “shade” ასევე შეიძლება გაგებულ იქნას როგორც სიკვდილის ბნელი სამყარო; დავიწყება ან არარსებობა.

აღნიშნული ნაწყვეტით გადმოცემული აზრი წარმოადგენს კლასიკურ შექსპირისეულ იდეას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ფიზიკურად კვდება, პოეზია უკვდავყოფს მის ხსოვნას და სილამაზეს.

ჩრდილი როგორც სიმბოლო დიდ როლს ასრულებდა რომანტიკოსი პოეტების შემოქმედებაში: უილიამ ბლეიკისთვის ჩრდილი ხშირად იყო ორმაგი სიმბოლო - როგორც გონების ბნელი ასპექტების, ისე შემოქმედებითი წარმოსახვის. “Songs of Experience”-ში ჩრდილები წარმოდგენილია როგორც საზოგადოების კორუმპირებული ასპექტების გამოხატულება. პერსი ბიში შელი ჩრდილს იყენებდა როგორც სიკვდილის, წარმავლობის, მაგრამ ასევე შთაგონების სიმბოლოს. მის “Adonais”-ში ჩრდილი აღნიშნავს პოეტის მემკვიდრეობას, რომელიც სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს არსებობას. ჯონ კიტსის პოეზიაში ჩრდილი ხშირად უკავშირდება შემოქმედებითობას, მელანქოლიას და ნოსტალგიას. “Ode to a Nightingale”-ში ჩრდილები ფიგურირებენ როგორც ტრანსცენდენტური გამოცდილების ნაწილი. სემუელ ტეილორ კოლერიჯისთვის, განსაკუთრებით “The Rime of the Ancient Mariner”-ში, ჩრდილები იძენენ მისტიკურ მნიშვნელობას და ასახავენ მორალურ და სულიერ გაორებას. უილიამ ვორდსვორთის პოეზიაში ჩრდილი ხშირად უკავშირდება მეხსიერებას და ბუნების გარდამქმნელ ძალას, როგორც მისი “Tintern Abbey”-დან ჩანს.

რაც შეეხება ვიქტორიანული ეპოქის პოეტებს, ალფრედ ტენისონისთვის ჩრდილი წარმოადგენს ეჭვს, მწუხარებას და გარდაცვლილთა ხსოვნას, განსაკუთრებით “In Memoriam A.H.H.”-ში. რობერტ ბრაუნინგი თავის დრამატულ მონოლოგებში ჩრდილებს ფსიქოლოგიური სირთულისა და მორალური ორაზროვნების გამოსახატავად იყენებს; ქრისტინა როსეტის რელიგიურად დატვირთულ პოეზიაში ჩრდილი ხშირად არის სულიერი გამოცდის სიმბოლო.

საინტერესო დატვირთვას იძენს ჩრდილი მოდერნისტული პერიოდის ავტორებისათვის: ტომას ელიოტის პოეზიაში, განსაკუთრებით “The Waste Land”-ში, ჩრდილები წარმოადგენენ კავშირს წარსულთან, კოლექტიურ არაცნობიერს და ეგზისტენციალურ გაუცხოებას. უილიამ ბატლერ იეიტსისთვის ჩრდილები ხშირად უკავშირდება მისტიკურ რეალობას და ოკულტურ სიმბოლიზმს. მის “A Dialogue of Self and Soul”- ში ჩრდილი გამოყენებულია როგორც თვითშემეცნების სიმბოლო. სილვია პლათის პოეზიაში ჩრდილი ხშირად არის ფსიქოლოგიური ბრძოლების, მამის ფიგურის და სიკვდილის სიმბოლო.

**ჩრდილი როგორც არაცნობიერის სიმბოლო ფროიდისა და იუნგის
ფილოსოფიებში და თანამედროვე ფსიქოლოგიაში**

ფროიდის ფსიქოანალიზურ თეორიაში „ჩრდილი“ როგორც უშუალოდ ტერმინი გამოყენებული არ არის, თუმცა ის შეიძლება განვიხილოთ როგორც მეტაფორა, რომელიც არაცნობიერს გამოხატავს. ფსიქიკის არაცნობიერი ნაწილი კი ჩახშულ სურვილებს, იმპულსებს, მოგონებებსა და იდეებს მოიცავს. ფროიდის თანახმად, საზოგადოებისთვის მიუღებელი სურვილები და იმპულსები (განსაკუთრებით სექსუალური და აგრესიული) ითრგუნება და გადადის არაცნობიერში. ეს ჩახშული მასალა არის როგორც „ჩრდილი“ - უხილავი, მაგრამ მუდმივად ადამიანის თანმხლები. ფროიდისეულ ფსიქიკის სტრუქტურულ მოდელში, Id წარმოადგენს პრიმიტიულ, ინსტინქტურ იმპულსებს. ის შეიძლება განვიხილოთ როგორც „ჩრდილოვანი“ ნაწილი, რომელიც ცნობიერების მიღმა მოქმედებს. ფროიდი მიიჩნევდა, რომ არაცნობიერი თავს ავლენს სიზმრებში, ფანტაზიებში და ნევროტულ სიმპტომებში. ასეთი გამოვლინებების სახით ამოდის "ჩრდილი" ცნობიერების ზედაპირზე.

იუნგი, განსხვავებით ფროიდისგან, პირდაპირ იყენებდა ტერმინს „ჩრდილი“ როგორც არქეტიპს - კოლექტიური არაცნობიერის უნივერსალურ სიმბოლოს.

კარლ იუნგისთვის ჩრდილი არის პიროვნების იმ ასპექტების ერთობლიობა, რომლებსაც ცნობიერი ეგო უარყოფს. ის მოიცავს უარყოფილ სურვილებს, „სუსტ“ თვისებებს, იმპულსებს, რომლებიც არ შეესაბამება ადამიანის იდეალურ წარმოდგენას საკუთარ თავზე. გარდა პიროვნული ჩრდილისა, იუნგი საუბრობდა კოლექტიურ ჩრდილზე, რომელიც კოლექტიური არაცნობიერის ნაწილია და შეიცავს საზოგადოების მიერ უარყოფილ ასპექტებს. იუნგისთვის ფსიქოლოგიური სიჯანსაღე გულისხმობს არა ჩრდილის ჩახშობას, არამედ მის ინტეგრაციას. ეს პროცესი, რომელსაც ის „ინდივიდუაციას“ უწოდებდა, გულისხმობს ჩრდილის გაცნობიერებას და მის როგორც პიროვნების ნაწილის მიღებას.

თუკი ფროიდი მიიჩნევდა, რომ საზოგადოებრივი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია გარკვეული იმპულსების ჩახშობა, იუნგს სწამდა, რომ ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისთვის აუცილებელია ჩრდილის გაცნობიერება და ინტეგრაცია.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში, განსაკუთრებით პოსტ-იუნგიანურ და ჰუმანისტურ მიმდინარეობებში, ჩრდილის კონცეფცია გამოიყენება: 1. თვითშემეცნების ინსტრუმენტად - საკუთარი ჩრდილის გაცნობიერება განიხილება როგორც თვითშემეცნების მნიშვნელოვანი ასპექტი; 2. კონფლიქტების გადაჭრის გზად - ჩრდილის ინტეგრაცია ეხმარება ადამიანებს შინაგანი კონფლიქტების გადაჭრაში; და 3. შემოქმედებითი პოტენციალის წყაროდ - იუნგიანური პერსპექტივიდან, ჩრდილი შეიცავს არა მხოლოდ ნეგატიურ ასპექტებს, არამედ ღირებულ შემოქმედებით ენერგიასაც.

„ჩრდილი“ ბიბლიაში

ბიბლიაში „ჩრდილი“ მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი სიმბოლოა, განსაკუთრებით გამორჩეულია ფრაზა „სიკვდილის ჩრდილის ველი“ („Valley of the Shadow of Death“), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბიბლიური მეტაფორაა.

ეს გახლავთ ფრაზა 23-ე ფსალმუნიდან (მე-4 მუხლი): „შავეთის ველზეც რომ ვიარო, ბოროტისა არ მეშინია, რადგან შენა ხარ ჩემთან; მანუგეშებენ შენი კვერთხი და შენი საყრდენი“ ([ფსალმუნი 23:4](#), საქართველოს საპატრიარქო).

ებრაულში ეს ფრაზა გამოიყენება როგორც „תל מוות“ (tsal-maveth), რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ჩრდილსა“ და „სიკვდილს“.

ფსალმუნი 91:1 ამბობს: „უზენაესის საფარქვეშ დამკვიდრებული ყოვლისშემძლის ჩრდილქვეშ ისვენებს“ ([ფსალმუნი 91:1](#), საქართველოს საპატრიარქო). აქ ჩრდილი უსაფრთხოებას და მფარველობას, ღვთისგან დაცულობას გამოხატავს.

ერთ-ერთ ფსალმუნში ასევე ნათქვამია: „ადამიანი ჰგავს ამაოებას, მისი დღეები - ვითარცა ჩრდილი გარდასული“. (ფსალმუნი 144:4, საქართველოს საპატრიარქო) – ჩრდილი აქ ადამიანის ცხოვრების მოკლე, წარმავალი ბუნების სიმბოლოა.

იაკობის ეპისტოლეში ღმერთი მოხსენიებულია როგორც „ნათელთა მამა, ვისთვისაც უცხოა ცვალებადობა და ცვლილების ჩრდილი“ (იაკობისა 1:17, საქართველოს საპატრიარქო). აქ ჩრდილი უზენაესობის ანარეკლად გვევლინება.

ესაია წინასწარმეტყველებს მესიის მოსვლას, რომელიც განანათლებს მათ, ვინც წყვდიადის ქვეყანაში ცხოვრობენ (ესაია 9:1, საქართველოს საპატრიარქო). ეს პასაჟი ციტირებულია მათეს სახარებაში ქრისტეს მსახურების დასაწყისში: „ბნელში მსხდომარე ხალხმა იხილა ნათელი დიდი, და ქვეყნად და სიკვდილის ჩრდილში მსხდომთ გამოუბრწყინდა ნათელი“ (მათე, 4:16, საქართველოს საპატრიარქო). აქ „ჩრდილი“ სულიერი სიბნელის სიმბოლოა.

„ჩრდილი“ ლორენსის პოეზიაში

განვიხილოთ რამდენიმე ლექსი, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, თუ რა მნიშვნელობებს იძენს მათში სიტყვა „shadow“. დავიწყოთ იმავე სახელწოდების ლექსით. ეს გახლავთ თავისუფალი ლექსი, რომელიც მოკლებულია მკაცრ რიტმულ სტრუქტურას და რითმას. ლორენსი გამოიზნულად არღვევს ტრადიციულ პოეტურ ფორმას, რითაც პროტესტს გამოხატავს ვიქტორიანული და ედვარდიანული ლიტერატურული კონვენციების მიმართ. ლექსის არატრადიციული ფორმა შესაბამისობაშია აზრის თავისუფალ დინებასთან, ჩრდილების თავისუფალ, მოძრავ ბუნებასთან.

„Shadows“ ღრმად ფილოსოფიური ნაწარმოებია, სადაც „shadow“ („ჩრდილი“) მრავალი სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია. ეს მნიშვნელობებია: სიკვდილი და დროის წარმავლობა; სულიერი ტრანსფორმაცია და განახლება; ღმერთთან მიახლოება; მატერიალური სამყაროს მიღმა არსებობა; პიროვნების

დაფარული ასპექტები; კოლექტიური ქვეცნობიერი; თანამედროვე საზოგადოების მიერ უარყოფილი ჭეშმარიტებები; პრიმიტიული ინსტინქტები და ბუნებასთან დაახლოება.

განვიხილოთ ადგილები სადაც სიტყვა “shadow” გვხვდება:

ეს გახლავთ მეორე სტროფი:

And if, as weeks go round, in the dark of the moon
my spirit darkens and goes out, and soft strange gloom
pervades my movements and my thoughts and words
then I shall know that I am walking still
with God, we are close together now the moon's in shadow².

პწკარედი:

და თუ, როცა კვირები გაივლიან, მთვარის სიბნელეში
ჩემი სული დაბნელდება და გაქრება და ნაზი უცნაური წყვილი
მოიცავს ჩემს მოძრაობებს, ჩემს ფიქრებსა და სიტყვებს,
მაშინ მეცოდინება, რომ კვლავაც დავდივარ
ღმერთთან ერთად, ჩვენ ახლოს ვართ ერთმანეთთან ახლა, როცა მთვარე
ჩრდილშია.

აქ “shadow” უკავშირდება მთვარის დაბნელებას, რაც სიმბოლურად წარმოადგენს სულიერი ცხოვრების ციკლურობას. ლორენსი სიბნელეს და ჩრდილს აღიქვამს არა როგორც უარყოფით მოვლენას, არამედ როგორც ღვთაებრივთან სიახლოვის მომენტს. მთვარის ჩრდილი სულიერი ტრანსფორმაციის სიმბოლოა.

გადავიდეთ შემდეგ სტროფზე:

And if, as autumn deepens and darkens
I feel the pain of falling leaves, and stems that break in storms
and trouble and dissolution and distress
and then the softness of deep shadows folding,
folding around my soul and spirit, around my lips
so sweet, like a swoon, or more like the drowse of a low, sad song
singing darker than the nightingale, on, on to the solstice
and the silence of short days, the silence of the year, the shadow,

then I shall know that my life is moving still
with the dark earth, and drenched
with the deep oblivion of earth's lapse and renewal.

პწკარედი:

² სიტყვა “shadow”-ზე და „ჩრდილზე“ ხაზგასმა ყველგან ჩემია.

და თუ, როცა შემოდგომა ძალაში შედის და მუქდება
მე ვგრძნობ დაცვენილი ფოთლების და ქარიშხალში დამტვრეული
ღეროების ტკივილს,
და გასაჭირს და დაღუპვას და ტანჯვას
და შემდეგ ღრმა ჩრდილების სინაზეს, რომელიც ეხვევა,
ეხვევა ჩემს გულსა და სულს, ჩემს ბაგეებს
ისეთი ტკბილი, როგორც აღტყინება, ან უფრო მეტად როგორც დაბალი,
სევდიანი სიმღერის სიმშვიდე,
რომელიც ბუღბუღლის სიმღერაზე უფრო ნაღვლიანად მღერის და უმღერის
ბუნიაობამდე
და მოკლე დღეების სიჩუმეს, წლის, ჩრდილის სიჩუმეს,

მაშინ მეცოდინება, რომ ჩემი სიცოცხლე კვლავ მოძრაობაშია
მუქ მიწასთან ერთად, და გაჟღენთილია
დედამიწის დაცემისა და განახლების ღრმა დავიწყებით.

ამ პასაჟში ჩრდილები აღწერილია როგორც ნატანჯი ადამიანის
ნუგეშისმცემელი და დამამშვიდებელი ძალა (“softness of deep shadows”).
შემოდგომის დარდისა და ტკივილის შემდეგ, ისინი „ეხვევიან“ ლირიკული გმირის
სულს და ბაგეებს. ჩრდილი აქ გამოხატავს სიმშვიდეს, სიკვდილთან შეგუებას,
სამყაროსთან შერწყმას.

ზოგადად, აღნიშნულ ლექსში ავტორი განიხილავს დუალიზმის იდეას,
კერძოდ სინათლისა და სიბნელის ურთიერთდამოკიდებულებას. ჩრდილები
წარმოდგენილია არა როგორც უბრალოდ სინათლის არარსებობა, არამედ როგორც
მატერიალურ სამყაროსთან სინათლის ურთიერთქმედების შედეგი. ლორენსი ხაზს
უსვამს, რომ ცხოვრებაში საპირისპირო ძალები - სინათლე და სიბნელე - არა
მხოლოდ თანაარსებობენ, არამედ ერთმანეთს ავსებენ კიდევაც. ლორენსისთვის
ჩრდილები ადამიანის სულის ღრმა, დაფარულ ასპექტებს განასახიერებენ, ანუ
ადამიანის ნამდვილ ბუნებასა და ინსტინქტებს, რომელსაც მისი რწმენით
ინდუსტრიული რევოლუციის შემდგომი თანამედროვე საზოგადოება ახშობდა.

ლექსში ჩრდილები ასევე წარმოადგენს ქვეცნობიერს, რომელიც ცნობიერის
ზედაპირის მიღმა იმალება. აქ ჩანს იმ დროს უკვე პოპულარული ფროიდის
ფსიქოანალიზის თეორიის გავლენა ლორენსზე, რომელსაც სწამდა, რომ ჩვენი
ქვეცნობიერი არის არა მხოლოდ ჩვენი პიროვნების ბნელი მხარე, არამედ ასევე
შემოქმედებითობისა და სიცოცხლის წყარო. ლორენსის ნამუშევრებზე დიდი
გავლენა მოახდინა ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიამაც, კერძოდ ლექსში “Shadows”
შეიძლება დავინახოთ ნიცშეანური დაპირისპირება აპოლონურსა (რაციონალური,
მოწესრიგებული, მზის სინათლე) და დიონისურს (ირაციონალური, ქაოტური,

ჩრდილოვანი) შორის, რომელთაგან ნიცმეს მსგავსად, ლორენსიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას უკანასკნელს ანიჭებს.

ჩრდილები გვევლინება სიკვდილის სიმბოლოდაც, ოღონდ არა როგორც საბოლოო დასასრულის, არამედ როგორც ტრანსფორმაციის პროცესის. ლორენსის ფილოსოფიაში სიკვდილი და განახლება ერთმანეთისგან განუყოფელია, როგორც ბუნებრივი ციკლის ნაწილები. აქ უნდა აღინიშნოს ლორენსის ბიოგრაფიული კონტექსტის მნიშვნელობა, სახელდობრ, მისი მოღვაწეობს პერიოდი, როდესაც პირველმა მსოფლიო ომმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ტრადიციული ღირებულებები და მწერლის ავადმყოფობა - ტუბერკულოზი, რომლითაც აიხსნება სიკვდილთან მისი შეგუება და განწირულების შეგრძნება.

ლექსში ჩრდილები პერსონიფიცირებულია – ისინი იბადებიან, მოძრაობენ, ცხოვრობენ და კვდებიან. აღსანიშნავია პარადოქსიც: ჩრდილებში შეიძლება მეტი სიცოცხლე იყოს, ვიდრე კაშკაშა სინათლეში. განსაკუთრებულ ეფექტს ავტორი აღწევს ექსპრესიული პოეტური ხატების მეშვეობით, რომლებიც ვიზუალურთან ერთად თითქმის ტაქტილურიცაა.

ლორენსის ეს ლექსი გვახსენებს, რომ ცხოვრება მოიცავს არა მხოლოდ სინათლეს და სიხარულს, არამედ სიბნელესა და ტკივილსაც და რომ მხოლოდ ორივეს მიღება და აღიარება ანიჭებს ადამიანს სიცოცხლის სრულყოფილად აღქმის, გამთლიანების განცდას. მიუხედავად ჩრდილოვანი მხარის არსებობისა, ლორენსი ოპტიმისტად რჩება: ის მაინც სავსეა იმედით, რომ სიბნელე განახლებულ სინათლესთან მიგვიყვანს, სიკვდილთან შერიგება კი - ღმერთთან.

“In the Dark” („სიბნელეში“) არის ლექსი, რომელიც ეხება ადამიანურ ურთიერთობებს, პიროვნების იდენტობას, სიცოცხლესა და სიკვდილს. მას დიალოგის ფორმა აქვს, რაც ლორენსს საშუალებას აძლევს დაგვანახოს ორი განსხვავებული თვალსაზრისი და მათ შორის არსებული უთანხმოება. ამგვარი ხერხის გამოყენებით იგი ქმნის ინტიმურობის განცდას, თითქოს მკითხველი პირადი საუბრის მოწმე ხდება. ერთ მხარეს დგას ქალი, რომელიც სიცოცხლის, სინათლის სიყვარულს განასახიერებს, მას ძალიან ეშინია სიბნელის და სიკვდილის. ამის საპრისპიროდ, მამაკაცი ცხოვრების ჩრდილოვან მხარეს წარმოადგენს, მას სწამს, რომ ყველაფერს, რაც ნათელია, მუდამ თან ახლავს ჩრდილიც, რომ სინათლე და სიბნელე, სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთისაგან განუყოფელია; ხოლო რაც შეეხება ადამიანს, მამაკაცი მას აღიქვამს როგორც ბუნების ნაწილს, ამიტომაც მიაჩნია გარდაუვლად ადამიანის ბუნებასთან შერწყმა. ქალი მთელი ძალით ცდილობს გაემიჯნოს სიბნელეს, ბუნებას, თავად მამაკაცს, რომელიც შიშს ჰგვრის და საკუთარი იდენტობა შენარჩუნოს. ლექსი მდიდარია სიმბოლოებით და მეტად ორიგინალური, უჩვეულო მეტაფორებით. სიმბოლოებად გამოყენებულია ჩრდილი, სინათლე, სიბნელე, ხე, მდინარე. სიტყვა “shadow” წარმოადგენს მრავალშრიან სიმბოლოებს.

ნაწარმოების დასაწყისში ავტორი გვიხატავს სცენას, სადაც ქალი შედარებულია მაღალი ფანჯრის ქვემოთ მოცახცახე ფერმკრთალ ლაქასთან (“A

blotch of pallor”). ფანჯარა მეტაფორულად აღწერილია როგორც კვადრატული სურათი-მწუხრი, ბნელი ცის ფანჯარა (“Square picture-dusk, the window of dark sky”). სიბნელეში გაისმის ქალის ტირილის ხმა, ლირიკულ გმირს ქალი გასაჭირში ჩავარდნილ ჩიტს აგონებს, რომელიც ხეობაში გზას მიიკვლევს (“As if a bird in difficulty up the valley steers”).

მეორე სტროფი იწყება დიალოგით. მამაკაცი კითხულობს, რატომ არ სძინავს ქალს და რატომ ტირის. ქალის პასუხი გამოხატავს მის შიშსა და დაუცველობას: “I am afraid of you, I am afraid, afraid!” („მეშინია შენი, მეშინია, მეშინია!“). ეს სტრიქონი მეორდება, რაც ხაზს უსვამს მის მძაფრ ემოციას. ქალის სიტყვები “There is something in you destroys me” („შენში არის რაღაც ისეთი, რაც მე მანადგურებს“) იმაზე მიუთითებს, რომ მამაკაცში იგი საფრთხეს ხედავს, რომელიც მის იდენტობასა და არსებობასაც კი ემუქრება. მამაკაცი ვარაუდობს, რომ ქალს ცუდი სიზმარი დაესიზმრა და ცდილობს მის დამშვიდებას. თუმცა, ქალი გადაჭრით აცხადებს, რომ ის სრულიად ფხიზელია და ყველაფერი მამაკაცის სისასტიკის ბრალია - “It is you, you are cruel to me!” („ეს შენ ხარ/შენი ბრალია, შენ ხარ სასტიკი ჩემს მიმართ!“). მოცემულ სტროფში გვხვდება სიტყვა “shadow”: “You cast a shadow over my breasts that will kill me at last” („შენ ჩრდილს ჰყენ ჩემს მკერდს, რომელიც საბოლოოდ მომკლავს.“) აქ ჩრდილის მოფენა მეტაფორაა და საფრთხესა და სიკვდილს გამოხატავს.

ქალი საკუთარ თავს ახასიათებს როგორც “a thing of life” („სიცოცხლის არსება“), რომელიც კაცს უამრავ მზის სინათლეს (“armfuls of sunshine”) ჩუქნის. ეს მეტაფორა მას წარმოაჩენს როგორც სიცოცხლისა და სიბნელის მომტანს. სწორედ სიბნელისა და სიცოცხლის ჩახშობად აღიქვამს ქალი იმას, რომ მამაკაცი კი არ აპყვება, არამედ ამბობს, რომ მას ეძინება (“I'm too sleepy”). ამიტომაც, ქალი მას საშინელებასთან, მოჩვენებასა და სიბნელესთან აიგივებს. მას ვერ გაუგია, როგორ შეიძლება მამაკაცს იგი უყვარდეს და იმავდროულად ასეთი ტკივილი მიაყენოს. მისი სიტყვები “My feet have no hold, you take the sky from above me” („ფეხებზე ნიადაგი მაქვს გამოცლილი, მაღლა კი ზეცას მართმევ“) იმაზე მეტყველებს, რომ იგი თავს დაუცველად გრძნობს, რადგან მამაკაცი საარსებოდ აუცილებელ სივრცეს უზღუდავს. მამაკაცი ცდილობს ქალი დაამშვიდოს და დაარწმუნოს, რომ ღამე ნაზი და მარადიულია (“soft and eternal”), მაგრამ ქალი იმეორებს, რომ სიბნელე მას კლავს და ფაქტობრივად „აქრობს“ მის სასიცოცხლო ძალას.

შემდგომ მამაკაცი ცდილობს ქალს აუხსნას, რომ ადამიანი სინათლეშიც კი ატარებს საკუთარ სიბნელეს. მისი სიტყვები “Your own small night goes with you” („შენი პატარა ღამე თან დაგყვება“) გვიჩვენებს, რომ ის სიბნელეს აღიქვამს როგორც ჩვენი არსებობის განუყოფელ ნაწილს. ქალი არც ახლა ეთანხმება და აცხადებს, რომ ის ცეკვავს მზეში (“dance in the sun”), რაზეც მამაკაცი პასუხობს, მაშინაც კი, შენს უკან სიბნელეაო (“Even then it is dark behind you”). ამით იგი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სიბნელე მაინც ჩვენი არსებობის ნაწილია, რამდენადაც არ უნდა ვცვალოთ ამის უარყოფას.

საინტერესოა ლექსის მეშვიდე სტროფი, სადაც ქალი ბრალს სდებს მამაკაცს, რომ იგი ჩრდილებით ავსებს მზის სინათლეს (“people the sunshine with shadows”), რაც მეტაფორულად იმას გამოხატავს, რომ მამაკაცი სიცოცხლეს და სიხარულს ჩრდილავს. ამაზე მამაკაცი პასუხობს, რომ მზის სინათლეს მხოლოდ ქალის და საკუთარი ჩრდილებით ავსებს (“With yours I people the sunshine, yours and mine –”).

მერვე სტროფში მამაკაცი ავითრებს იმ აზრს, რომ სიბნელეში ჩვენ ყველანი ვკარგავთ ჩვენს იდენტობას, ვუერთდებით ბუნებას - ხეებს, მდინარეს. ეს მოტივი, კერძოდ ადამიანის ბუნებასთან შერწყმა, საკმაოდ ხშირია ლორენსის შემოქმედებაში. თუმცა ქალი ამას კვლავ უარყოფს: “But I am myself” („მაგრამ მე ვარ მე“). მამაკაცი ქალს ამშვიდებს და სთავაზობს ერთად დაიძინონ საკუთარ საუდუმლოებებთან ერთად. იგი შემდეგ სტროფშიც გულისხმიერებას იჩენს ქალისადმი და საბოლოოდ მის თვალსაზრისს ეთანხმება: “I will be all the shadow, you the shine” („მე ვიქნები მთელი ჩრდილი, შენ კი - ბრწყინვალეა“). იგი აღარ ეწინააღმდეგება ქალის სიცოცხლის სიყვარულს და სურვილს, იყოს სინათლე. ამავდროულად აღიარებს, რომ თავად უფრო სიბნელესთან ასოცირდება. თუმცა შემდგომში იგი კვლავ გაანაწყენებს ქალს, როდესაც საუბრობს, თუ როგორ უყვარს ფიჭვის ტყეები და მათი არყოფნის საიდუმლო (“mystery of not-to-be”). ამაზე ქალი ამბობს: “let me be myself, not a river or a tree” (“ნება მომეცი, ვიყო მე და არა მდინარე ან ხე“).

ლექსის ბოლო სტროფში მამაკაცი საუბრობს იმაზე, თუ როგორი შვებაა ადამიანისთვის ჩაქრობა (“to be quenched”), დანებება (“to be given up”), სიბნელეში წასვლა (“to be gone in the dark”). ეს მეტაფორები მიუთითებს იმაზე, რომ მამაკაცი სიკვდილს ხედავს როგორც ცხოვრების ბუნებრივ ნაწილს, რომელიც უნდა მიიღო. ლორენსის ლირიკული გმირის ამგვარი განწყობა სრულიად გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ ქლექით მის ავადმყოფობასა და მოახლოებულ სიკვდილთან შუგულებას. თუმცა ამის მიუხედავად, ლექსის ბოლოს იგი ამბობს: “Nothing matters, save sleep; save you, and me, and sleep” („არაფერია მნიშვნელოვანი, გარდა ძილისა; გარდა შენი, ჩემი და ძილისა“). ეს არის ქალთან, მის თვალსაზრისთან შერიგება, რადგან მასთან სიახლოვე, მისი სიმშვიდე მამაკაცისთვის ყველაფერზე მაღლა დგას.

ზემოთ განხილულ ნაწარმოებში მოცემული დუალიზმი ასახავს ადამიანური ცხოვრების ძირითად კონტრასტს - დაპირისპირებას სინათლესა და სიბნელეს, თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და ბუნებასთან შერწყმას, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის და ამ დაპირისპირებაში ჩრდილი დიდ როლს ასრულებს როგორც მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლო. იგი, ერთი მხრივ, ასოცირდება სიკვდილთან და საფრთხესთან (“You cast a shadow over my breasts that will kill me at last”), ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის არსებობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (“Your own small night goes with you”). იგი სიმბოლურად გამოხატავს ურთიერთობას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც მომაკვდინებელი, ისე ურთიერთშემავსებელი.

მსგავსი გაორებული ემოციებია აღწერილი ლექსში “A Young Wife” („ახალგაზრდა ცოლი“), რომლის ლირიკული გმირი, სათაურიდან გამომდინარე,

სავარაუდოდ, ახალგათხოვილი ქალი უნდა იყოს, რომელიც ქმრის მიმართ სიყვარულთან ერთად შიშსაც გრძნობს, ამიტომაც ამგვარი სიყვარული, როგორც თავად ამბობს, მის ძალებს აღემატება. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ ლირიკული გმირი თავად პოეტია რომელიც ლექსს ახალგაზრდა ცოლს უძღვნის. ჩვენი მოსაზრებით, ვინაიდან ზემოთ განხილული ლექსიდანაც ჩანს, რომ თავად ლორენსი ჩრდილსა და სიბნელეს სიცოცხლის განუყოფელ ნაწილად თვლიდა და მასთან შეგუებული იყო, როგორც მოახლოებულ სიკვდილთან, ჩრდილების შესახებ სწორედ ქალი უნდა საუბრობდეს, თუმცა მეორე ვარიანტიც არ არის გამორიცხული.

“A Young Wife” იწყება და მთავრდება ერთი და იმავე სტრიქონებით: “The pain of loving you/Is almost more than I can bear.” („შენი სიყვარულის ტკივილი თითქმის აუტანელია“). ამგვარი აგებულება ხაზს უსვამს ლირიკული გმირის ჩაკეტილ ემოციურ მდგომარეობას, რომლიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელია. ავტორი სიყვარულს წარმოგვიჩენს როგორც ამბივალენტურ მოვლენას - იგი აღმაფრენის მომნიჭებელიცაა და მტანჯველიც. ლექსში გამოკვეთილია სინათლისა და სიბნელის დაპირისპირება, ავტორი ეფექტურად იყენებს ოქსიმორონს, მეტაფორებს, პერსონიფიკაციას: ლირიკულმა გმირმა ახლახანს აღმოაჩინა, რომ ჩრდილები მზეშიც ცხოვრობენ; რომ ყოველი მაღალი, მხიარული ხე ახლა ზურგს აქცევს მზეს და საკუთარ ჩრდილს დასცქერის, რომელსაც ადრე თავს არიდებდა; რომ ყოველი მოელვარე საგნის ქვეშ ღამე გაწოლილა და ცეკვისა და სიმღერის ნაცვლად ლირიკული გმირი ფიჩქნის ძირში დაფენილ ჩრდილებს მიშტერება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი სიმბოლოა - ჩრდილი (shadow), რომელიც სიკვდილის შიშს გამოხატავს. აღნიშნულ განწყობას კიდევ უფრო განამტკიცებს სიტყვების “darkness” („სიბნელე“) და “night” („ღამე“) გამოყენება.

ლექსი ასე იწყება:

The pain of loving you

Is almost more than I can bear.

I walk in fear of you.

The darkness starts up where

You stand, and the night comes through

Your eyes when you look at me.

პწკარედი:

შენი სიყვარულის ტკივილი

თითქმის იმაზე მეტია, რისი ატანაც მე შემძლია.

მე შენი შიშით დავდივარ.

სიბნელე იქ იწყება, სადაც

შენ დგახარ და ღამე გამოსჭვივის

შენი თვალებიდან, როცა მიყურებ.

ამ სტროფიდან ჩანს, რომ ლირიკულ გმირს საყვარელი ადამიანი შიშს ჰგვრის, რადგან იგი სიბნელის წყაროა. მეორე სტროფში უკვე ვხვდებით სიმბოლოს “shadow”.

Ah never before did I see
The shadows that live in the sun!
Now every tall glad tree
Turns round its back to the sun
And looks down on the ground, to see
The shadow it used to shun.

პწკარედი:

ადრე არასდროს მინახავს
ჩრდილები, რომლებიც მზეში ცხოვრობენ!
ახლა ყველა მაღალი მხიარული ხე
მზეს ზურგს აქცევს
და მიწას დაჰყურებს, რომ დაინახოს
ჩრდილი, რომელსაც ადრე თავს არიდებდა.

აქ პარადოქსული გამოთქმა „ჩრდილები, რომლებიც მზეში ცხოვრობენ“ იმის მანიშნებელია, რომ სიყვარულმა ლირიკული გმირის აღქმა მტკივნეული გახდა: იგი ჩრდილებს ამჩნევს იქ, სადაც ადრე მხოლოდ სინათლეს ხედავდა.

მეტაფორა განვრცობილია ხეების მოხმობით, რომლებიც ჩვეულებრივ მზისკენ იმზირებიან, მაგრამ ახლა „ზურგს აქცევენ მზეს“ და მიწაზე საკუთარ ჩრდილებს ჩაჰყურებენ. უზრუნველ ხეებსაც კი სევდა და შიში შეჰპარვიათ. ეს სურათი თავდაყირა აყენებს ბუნების კანონებს, რაც ლირიკული გმირის შინაგან მდგომარეობას ასახავს - მისი სამყარო თითქოს ამოუტრიალებია ძლიერ სიყვარულს.

ლექსის მესამე სტროფშიც ნათლად ჩანს „ჩრდილის“ სიმბოლური დატვირთვა - იგი სევდას, შიშს, შემფოთებას გამოხატავს:

At the foot of each glowing thing
A night lies looking up.
Oh, and I want to sing
And dance, but I can't lift up
My eyes from the shadows: dark
They lie spilt round the cup.
პწკარედი:
ყოველი მოელვარე საგნის ძირში
ღამე წევს და ზემოთ იყურება.
და მე მსურს ვიმდგრო

და ვიცევო, მაგრამ ვერ ვწევ
თვალეbs ჩრდილებიგან: მუქად
რომ აფენია გაყოფილი (ჩრდილები) ფინჯნის გარშემო.

მეტაფორით „ყოველი მოელვარე საგნის ძირში ღამე წევს“ ასახულია სიყვარულის ორმაგი ბუნება - ელვარებას, სილამაზესა და სიხარულის მუდამ თან ახლავს სიბნელე, ანუ შიში და ტკივილი, რომელიც ბედნიერებას უშხამებს ლირიკულ გმირს.

ნაწარმოების ბოლოს ავტორი უკვე პირდაპირ ახსენებს სიკვდილს, რომელიც სწორედ ღამაჲ ყვავილებსა და მოწმენდილ ცაზე ტოროლას ნავარდში იმალება:

What is it? - Hark
The faint fine seethe in the air!
Like the seething sound in a shell!
It is death still seething where
The wild-flower shakes its bell
And the sky lark twinkles blue -
The pain of loving you
Is almost more than I can bear.

პწკარედი:

ეს რა არის? - ყური უგდე,
სუსტ, ნაზ ფუთფუთის ხმას ჰაერში!
რომელიც ნიჟარაში შრიალის ხმას ჰგავს!
ეს სიკვდილია, რომელიც ისევ ფუთფუთებს იქ,
სადაც ველური ყვავილი ზანზალავს არხევს
და ტოროლა ლურჯად კამკამებს ცაში -
შენი სიყვარულის ტკივილი
თითქმის იმაზე მეტია, რისი ატანაც მე შემძლია.

როგორც მთელი ლექსი, ეს სტროფიც მდიდარია ორიგინალური და დახვეწილი პოეტური ხატებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკუსტიკური მეტაფორა “faint fine seethe in the air” (სუსტი, ნაზი ფუთფუთის ხმა ჰაერში), რომელიც იმაზე მიაწმენებს, რომ სიკვდილი ყველგანაა ჩასაფრებული.

რაც შეეხება საკუთრივ “Shadow”-ს სიმბოლურ მნიშვნელობას, ლექსში იგი რამდენიმე მნიშვნელოვან სიმბოლურ ასპექტს წარმოადგენს. ეს ასპექტებია:

1. **სიყვარულის ორმაგი ბუნება:** ჩრდილი აღნიშნავს სიყვარულის ბნელ მხარეს - ტკივილს, შიშს, დაუცველობას. ლექსში მინიშნებულია, რომ სიყვარული მხოლოდ სიხარული და სილამაზე კი არ არის, არამედ ტკივილსა და შიშსაც მოიცავს.
2. **ახლებური აღქმა:** “Ah never before did I see / The shadows that live in the sun!” („ადრე არასდროს მინახავს ჩრდილები, რომლებიც მზეში ცხოვრობენ!“) - ამ სტრიქონებიდან ჩანს, რომ ძლიერმა სიყვარულმა შეცვალა ლირიკული

გმირის აღქმა. ის ახლა ჩრდილებს ამჩნევს იქ, სადაც ადრე მხოლოდ სინათლეს ხედავდა.

3. **დაუცველობა:** ჩრდილები ასახავენ ლირიკული გმირის დაუცველობის გრძნობას. ისინი მუდამ თან დასდევენ მას და მხიარულებას უშხამებენ.
4. **ბნელი მხარე, რომელიც სინათლეში ცხოვრობს:** “The shadows that live in the sun” - ეს პარადოქსული გამოთქმა მიანიშნებს იმაზე, რომ ჩრდილები მხოლოდ სიბნელის ნაწილი არ არის, არამედ ისინი სინათლეშიც არსებობენ. სინათლე და სიბნელე, სიხარული და სევდა თანაარსებობენ სიყვარულშიც.
5. **სიკვდილის არსებობა სიცოცხლეში:** ჩრდილები ასევე წარმოადგენენ სიკვდილის არსებობას სიცოცხლეში, ანუ სიცოცხლისა და სიკვდილის ერთმანეთისგან განუყოფლობას.
6. **გაუცხოება ბუნებრივი წესრიგიდან:** ხეები, რომლებიც „ზურგს აქცევენ მზეს“, ბუნებრივი წესრიგის დარღვევას განასახიერებენ. ჩრდილები წარმოადგენს ამ ბუნებრივი წესრიგისგან გაუცხოებას, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ძლიერი სიყვარული ზოგჯერ შეუთავსებელია ნორმალურ, ბუნებრივ არსებობასთან.
7. **ემოციური მდგომარეობის ფიზიკური გამოხატულება:** ჩრდილები, რომლებიც „აფენია ფინჯნის გარშემო“ წარმოდგენილია როგორც ხილული საგანი, ლირიკული გმირის შიშისა და სევდის ფიზიკური გამოხატულება.

„ჩრდილის“ სიმბოლური დატვირთვის თვალსაზრისით, ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო ლექსია “In a Boat,” რომელიც ასევე გვინდა მოცემულ სტატიაში განვიხილოთ. იგი იწყება სატრფოსადმი მოწოდებით (“See the stars, love”) შეხედოს წყალში არეკლილ ვარსკვლავებს, რომლებიც „უფრო ნათელი და კაშკაშაა“, ვიდრე ნამდვილი ვარსკვლავები ცაზე (“In the water much clearer and brighter/Than those above us”), ისინი უფრო თეთრია და წყლის შროშანებს მოგვაგონებს (“and whiter,/Like nenuphars!”).

პარადოქსი, რომ ვარსკვლავების ანარეკლი უფრო მკაფიო და მშვენიერია, იმაზე მიანიშნებს, რომ ხანდახან ილუზია შეიძლება რეალობაზე მიმზიდველი იყოს. წყლის შროშანებთან შედარებით (“Like nenuphars”) პოეტი ქმნის ვიზუალურ ხატს, რომელიც სიწმინდისა და სიმშვიდის ასოციაციებს იწვევს.

მეორე სტროფი ყველაზე საგულისხმოა, რადგან მასში არაერთგზის ნახსენებია სიტყვა “shadow”:

Star-shadows shine, love:
How many stars in your bowl?
How many shadows in your soul?
Only mine, love, mine?

პწკარედი:

ვარსკვლავების ჩრდილები ანათებენ, სიყვარულო:

რამდენი ვარსკვლავია შენს თასში?
რამდენი ჩრდილია შენს სულში?
მხოლოდ ჩემი, სიყვარულო, ჩემი?

„ჩრდილის“ მოტივი ლექსის ცენტრალურ სიმბოლოდ იქცევა. ფრაზა „Star-shadows shine“ წარმოადგენს ოქსიმორონს - ჩრდილები, რომლებიც ჩვეულებრივ სიბნელესთან ასოცირდება, აქ ანათებენ. მოცემულ სტროფში ლირიკული გმირი ღრმა და პირადულ საკითხებს ეხება. კითხვის „How many stars in your bowl?“ („რამდენი ვარსკვლავია შენს თასში?“) პარალელურად იგი სვამს კითხვას „How many shadows in your soul?“ („რამდენი ჩრდილია შენს სულში?“), სადაც „ჩრდილები“ წარმოადგენენ შინაგან გრძნობებს, ფიქრებს. ხოლო ფრაზას „Only mine, love, mine?“ ლირიკული გმირი იმისთვის წარმოთქვამს, რათა საბოლოოდ გაფანტოს ეჭვები და დარწმუნდეს, რომ სატრფო მხოლოდ მასზე ფიქრობს. აღნიშნულ სტროფში იკვეთება პარალელი სულში არსებულ ჩრდილებსა (ფარული ფიქრები, გრძნობები) და წყალში არეკლილი ვარსკვლავების ჩრდილებს (გარეგნული ილუზიები) შორის.

1.1.

მესამე სტროფში ლირიკული გმირი აღწერს, თუ როგორ არღვევს ნიჩბების მოძრაობა წყლის ზედაპირს და, შესაბამისად, ვარსკვლავების ანარეკლს. ეს ქმედება იწვევს ვარსკვლავების დამახინჯებას და გაქრობას. მნიშვნელოვანია ფრაზა „Even yours“, რომელიც მიანიშნებს, რომ საყვარლის „ვარსკვლავიც“ (შესაძლოა სიმბოლურად მისი სული, პიროვნება, ან სიყვარული) ზიანდება. შესაძლოა, ავტორი მეტაფორულად იმას გვეუბნება, რომ ადამიანური ურთიერთობებიც ანარეკლივით მყიფეა, მაშინ როდესაც ცა და მასზე მოკაშკაშე ვარსკვლავები ურყევია („The heavens are not shaken” ... „Its stars stand still”) („ზეცა არ ირხევა“ ... „სიყვარულო/ის მშვიდად დგას“).

მეოთხე სტროფში ლორენსი კიდევ უფრო აღრმავებს კონტრასტს ილუზიასა და რეალობას შორის. წყალი (რომელიც ირეკლავს ვარსკვლავებს) აღწერილია როგორც „poor“, „troubled“, „forsaken“ - ეს ეპითეტები მიანიშნებენ ილუზიის მერყეობასა და ცვალებადობაზე.

მეხუთე სტროფში ხდება მოულოდნელი მოვლენა: ნაპერწკალი („spark“) გამოიჭრება წყვილისკენ და ლირიკულ გმირს აფიქრებინებს, რომ ცაში ვარსკვლავებიც კი არ არიან უსაფრთხოდ („Stars are not safe in heaven!“) და თავად რას გახება. ამ სტროფის კულმინაცია არის ბოლო კითხვა „What of me then, love, me?“ („და მე რაღა დამემართება, სიყვარულო მე?“), სადაც გამოსჭვივის ლირიკული გმირის შიში და შფოთვა საკუთარი მომავლის შესახებ. თუ ვარსკვლავებიც კი, რომლებიც მარადიულობისა და სტაბილურობის სიმბოლოდ ითვლება, საფრთხეში არიან, მაშინ რა იმედი უნდა ჰქონდეს ჩვეულებრივ მოკვდავს?

ბოლო, მეექვსე სტროფში ლირიკული გმირი კიდევ უფრო მტკივნეულ კითხვებს სვამს, რომლებიც უკვე პირდაპირ ეხება სიკვდილისა და დანაკარგის თემებს. იგი სატრფოს ეკითხება, რა მოხდება, თუკი ცოტა ხანში მის ვარსკვლავს

ტალღა მოისვრის ("Your star be tossed over a wave"); მაშინ სიბნელე კუბოს დაემსგავსება? ("Will the darkness look like a grave?") ლექსი მთავრდება კითხვით: "Would you swoon, love, swoon?" („გული წაგივა, სიყვარულო, გული წაგივა?“).

ზემოთ განხილულ ლექსში სიტყვა "shadow" სიმბოლურად გამოხატავს: 1) რეალობის ილუზორულ ასახვას ("Star-shadows" წარმოადგენს წყალში არეკლილ ვარსკვლავებს, რომლებიც რეალური ვარსკვლავების ილუზორული სახეა); 2) ადამიანის სულის დაფარულ, ბნელ ასპექტებს - ფარულ ფიქრებს, გრძნობებს ("How many shadows in your soul?"); 3) სიმყიფესა და ცვალებადობას: წყალში არეკლილი ჩრდილები ადვილად ირყევა და მახინჯდება ნიჩბების მოძრაობით, რაც მიანიშნებს ადამიანური ურთიერთობებისა და გრძნობების სიმყიფეზე; 4) სიკვდილის მოახლოებას ("Will the darkness look like a grave?"); 5) იდენტობას ("Even yours, do you see?" - აქ წყალში არეკლილი ვარსკვლავი შეიძლება წარმოადგენდეს ვინმეს იდენტობას, არსს, რომელიც ასევე დაზიანებადია); 6) კავშირს ზეციურსა და მიწიერს, მატერიალურსა და სულიერს შორის - ზეციური ვარსკვლავები წყალში ირეკლებიან და უფრო მკვეთრად კაშკაშებენ.

დასკვნა:

დ.ჰ. ლორენსის პოეტურ შემოქმედებაში "ჩრდილის" ("shadow") სიმბოლიკა წარმოადგენს მისი მთლიანი ფილოსოფიური და ესთეტიკური მსოფლმხედველობის მიკროკოსმოსს. ამ მრავალშრიანი სიმბოლოს ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვკვეთოთ რამდენიმე არსებითი დასკვნა:

პირველ რიგში, ლორენსისთვის ჩრდილი არ არის უბრალოდ მხატვრული ხერხი, არამედ რთული ონტოლოგიური კონცეფციაა, რომელიც აერთიანებს როგორც ფიზიკურ, ისე მეტაფიზიკურ განზომილებებს. მის პოეზიაში ჩრდილი მუდმივად მერყეობს მატერიალურსა და არამატერიალურს შორის, რითაც ასახავს ლორენსის რწმენას დუალიზმების მიღმა არსებულ ერთიანობაში.

მეორე, ჩრდილის სიმბოლო ლორენსის შემოქმედებაში აშკარად გამოხატავს მის წინააღმდეგობას ინდუსტრიული ეპოქის რაციონალიზმის მიმართ. ჩრდილი არის ის, რასაც თანამედროვე ცივილიზაცია უგულვებელყოფს – ინტუიტიური, ინსტინქტური, ქვეცნობიერი ძალები, რომლებიც, ლორენსის აზრით, აუცილებელია სრულფასოვანი ადამიანური არსებობისთვის.

მესამე, განსხვავებით მისი წინამორბედი პოეტებისგან, ლორენსის „ჩრდილი“ არ არის მხოლოდ ნეგატიური ან სინათლეს მოკლებული სივრცე. იგი ხშირად წარმოგვიდგება როგორც სასიცოცხლო, შემოქმედებითი ძალა, რომელშიც შესაძლებელია ტრანსფორმაცია და განახლება. ამ მხრივ, ლორენსის მიდგომა ჩრდილისადმი ავლენს მის უნიკალურ პოზიციას რომანტიკულ, ვიქტორიანულ და მოდერნისტულ ტრადიციებთან მიმართებაში.

მეოთხე, ლორენსისეული ჩრდილის კონცეფცია შეიძლება განვიხილოთ როგორც წინამორბედი იუნგისეული ანალიტიკური ფსიქოლოგიის იდეებისა,

რომლებშიც ჩრდილი წარმოადგენს პიროვნების დაფარულ ასპექტებს. თუმცა, ლორენსისთვის ეს უფრო ფიზიკური და კოსმიური ფენომენია, ვიდრე წმინდა ფსიქოლოგიური.

და ბოლოს, ჩრდილის გამოყენება ლორენსის პოეზიაში ასახავს მის ფუნდამენტურ რწმენას სამყაროს პოლარულ, მაგრამ ურთიერთდამოკიდებულ ბუნებაში. ჩრდილის არსებობა სინათლესთან ერთად ქმნის იმ მთლიანობას, რომლისკენაც ლორენსი მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში მიისწრაფოდა.

ამრიგად, ლორენსის პოეზიაში ჩრდილის სიმბოლიკის კვლევა გვთავაზობს უნიკალურ შესაძლებლობას დავინახოთ, თუ როგორ იყენებს პოეტი ტრადიციულ პოეტურ ხატს საკუთარი ფილოსოფიური ხედვის გამოსახატავად – ხედვისა, რომელიც ეწინააღმდეგება მის ეპოქაში გაბატონებულ მეტაფიზიკურ მიდგომას და ცდილობს დაამყაროს ახალი, უფრო ორგანული და ჰოლისტიკური მიმართება ადამიანსა და სამყაროს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი 1989.

იუნგი კარლ გუსტავ, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, დიოგენე 2023

ფროიდი ზიგმუნდ, სიზმრის ინტერპრეტაცია, დიოგენე 2024

Meyers Jeffrey, D. H. Lawrence: A Biography, New York 1990

Dutta [Sibaprasad](#), The Shadow of Light: An Album of Poems

https://www.academia.edu/19953522/The_Shadow_of_Light_An_Album_of_Poems

<https://poets.org/poet/d-h-lawrence>

<https://www.poetrynook.com/poem/shadows-16>

<http://www.public-domain-poetry.com/d-h-lawrence/in-the-dark-22913>

<https://poets.org/poem/boat-0>

<https://www.poetryfoundation.org/poems/44574/bat>

<http://www.public-domain-poetry.com/d-h-lawrence/a-young-wife-22916>

“Shadow” Symbolism in David Herbert Lawrence's Poetry

Lela Ebralidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Assistant Professor, Doctor of Philology,

<https://orcid.org/0000-0003-0802-4085>

Abstract

The presented article examines the symbolic significance of the “shadow” across a range of cultural and literary contexts, paying particular attention to the evolution of this symbol in English-language poetry and its psychological and philosophical interpretations. The research begins with an analysis of the historical development of the shadow symbol in English poetry, specifically in the works of Shakespeare, the Romantic poets (Blake, Shelley, Keats, Coleridge, Wordsworth), Victorian era authors (Tennyson, Browning, Rossetti), and the Modernists (Eliot, Yeats, Plath).

The article pays special attention to the concept of shadow in the context of psychoanalytic theory, examining Freud's and Jung's approaches to interpreting shadow as a symbol of the unconscious, as well as the application of this concept in contemporary psychology.

From a biblical perspective, the research reflects the religious symbolism of shadow, particularly the well-known phrase “the valley of the shadow of death” and other biblical contexts where shadow serves as a symbol of divine protection, spiritual darkness, and the transience of human existence.

The main part of the article is devoted to a microanalysis of shadow symbolism in D.H. Lawrence's poetry. The poems “Shadows”, “In the Dark”, “A Young Wife” and “In a Boat” are examined in detail. The research reveals that for Lawrence, shadow is a complex ontological concept that unites physical and metaphysical dimensions, reflects his opposition to industrial rationalism, and represents the embodiment of intuitive, subconscious forces. According to the research, Lawrence's concept of shadow differs from traditional negative interpretations – it is often presented as a vital, creative force, a source of transformation and renewal.

Keywords: shadow symbol, English poetry, D.H. Lawrence, Jungian psychology, Romanticism, Modernism, biblical symbolism, unconscious.